თუ მოსწავლეს უფიქსირდება არასწორად დათვლილი სემესტრული ქულა, როგორ მოიქცეს მშობელი:

იმ შემთხვევაში, თუ თვლით, რომ მოსწავლეს ელექტრონულ ჟურნალში არასწორად აქვს დათვლილი სემესტრული შეფასება, უნდა გადამოწმდეს შემდეგი **3 პირობა,** რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მოსწავლის სემესტრული შეფასების გამოთვლაზე:

1) **ხომ არ უფიქსირდება მოსწავლეს ელექტრონულ ჟურნალში შეუფასებელი შემაჯამებელი დავალება**

   თუ მოსწავლეს უფიქსირდება (არ აქვს მნიშვნელობა რომელ სწავლების ტიპზე იყო, დისტანციურზე თუ დასწრებულზე, უნდა მოხდეს ყველა მათგანში გადამოწმება) შეუფასებელი შემაჯამებელი დავალება, სემესტრული შეფასების გამოთვლის დროს აღნიშნული შემაჯამებელი დავალება სისტემაში ფიქსირდება 0 ქულით.

   სად და როგორ ნახოს მშობელმა ფიქსირდება თუ არა მოსწავლესთან შეუფასებელი დავალება

   მშობელი უნდა შევიდეს ელექტრონული ჟურნალის მოდულში „მთავარი“ და დაათვალიეროს შეუფასებელი შემაჯამებლების ჩამონათვალი, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები:


ონლაინ
სკოლა
მთავარი
საგნები
მოსაცემები
დავალებები
კალენდარი
გამოცდები
ჩატი
საბვები
უახლოესი ღონისძიებები
27 დეკ
ორშაბათი
პირველი უცხოური ენა (ინგლისური), 7ბ კლ
09:00 - 09:45 გაკვეთილი
ქართული ენა და ლიტერატურა, 7ბ კლასი
09:50 - 10:35 გაკვეთილი
მათემატიკა, 7ბ კლასი
შესაფასებელი შემაჯამებლები
7ბ, მათემატიკა
20/09/2021 10:40 - 11:25
7ბ, მათემატიკა
14/12/2021 19:00 - 19:45
7ბ, მათემატიკა
15/10/2021 09:00 - 09:45

როგორ გადაამოწმოს მშობელმა სემესტრის განმავლობაში კონკრეტულ საგანში დაწერილი შეფასებები

მშობელი უნდა შევიდეს მოდულში „საგნები“ და შეარჩიოს სასურველი საგანი>



აღნიშნულ გვერდზე მოცემულია აღნიშნულ საგანში მასწავლებლის მიერ ასახული შეფასებები. აქვე არის შესაძლებელი იმ შემაჯამებელი დავალებების/ შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესახებ ინფორმაციის ნახვა, რომელშიც მოსწავლე არ არის შეფასებული.



შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მშობელი აღმოაჩენს, რომ მოსწავლეს უფიქსირდება შეუფასებელი შემაჯამებელი დავალება, მიმართოს საგნის პედაგოგს. მიაწოდოს ინფორმაცია ჩანიშნული შემაჯამებელი დავალების თარიღზე და სთხოვოს შეფასების ასახვა.

2) **ხომ არ უფიქსირდება მოსწავლეს ელექტრონულ ჟურნალში შეუფასებელი შემაჯამებელი დავალების აღდგენა**

თუ მოსწავლეს ელექტრონულ ჟურნალში უფიქსირდება შეუფასებელი შემაჯამებელი დავალების აღდგენა ელექტრონული ჟურნალი აღნიშნულ შეუფასებელ შემაჯამებელი დავალების აღდგენას სემესტრული შეფასების გამოთვლის დროს ანგარიშობს შეფასებით 0 და აღნიშნული იღებს მონაწილეობას შეფასების გამოთვლისას.

როგორ გადაამოწმოს მშობელმა, მოსწავლეს უფიქსირდება თუ არა შეუფასებელი შემაჯამებელი დავალების აღდგენა

მშობელი უნდა შევიდეს მოდულში „საგნები“ და შეარჩიოს სასურველი საგანი>



შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მშობელი აღმოაჩენს, რომ მოსწავლეს უფიქსირდება შეუფასებელი შემაჯამებელი დავალების აღდგენა, მიმართოს კლასის დამრიგებელს ან საგნის პედაგოგს. მიაწოდოს ინფორმაცია ჩანიშნული შემაჯამებელი დავალების აღდგენის თარიღზე და სთხოვოს შეფასების ასახვა.

3) **ხომ არ უფიქსირდება მოსწავლეს შეუფასებელი გამოცდა**

მოსწავლის სემესტრული შეფასების გამოთვლაში მონაწილეობას იღებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამოცდები, შესაბამისად, თუ მოსწავლეზე ჩანიშნულია აღნიშნული ტიპის გამოცდა, სემესტრული შეფასების გამოთვლის დროს სისტემა გაითვალისწინებს მოსწავლეზე დაფიქსირებულ გამოცდის შეფასებასაც.

4) **როგორ ნახოს მშობელმა ფიქსირდება თუ არა მოსწავლესთან შეუფასებელი გამოცდა**

მშობელი უნდა შევიდეს მოდულში „გამოცდები“, შეარჩიოს გამოცდის ტიპი და ნახოს, უწერია თუ არა შეფასება

შეფასების ნახვისთვის იმოქმედოს ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით:



შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მშობელი აღმოაჩენს, რომ მოსწავლეს უფიქსირდება შეუფასებელი გამოცდა, მიმართოს კლასის დამრიგებელს ან საგნის პედაგოგს. მიაწოდოს ინფორმაცია ჩანიშნული შეუფასებელი გამოცდის შესახებ და სთხოვოს შეფასების ასახვა.